საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 747-03
10/04/2025

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამაზე - "არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)" ჩარიცხვის/სწავლის გაგრძელების მსურველ პირთათვის შემოქმედებითი ტურის რეგისტრაციის ვადებისა და პირობების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის" მე-8 მუხლის, რექტორის 2024 წლის 15 აპრილის N745-03 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის "არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)" შემოქმედებითი ტურის დებულების", საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებლის, მაია შუხოშვილის 2024 წლის 23 ივლისის MES 4 24 0000899043 (უნივერსიტეტში შემოსული: 24.07.2024, N2197/35) წერილის საფუძველზე, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 8 აპრილის N5586-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ქვემოთჩამოთვლილ კატეგორიაში შემავალ პირთათვის, რომელთაც სურთ ჩაირიცხონ/სწავლა განაგრძონ საბაკალავრო პროგრამაზე "არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)", შემოქმედებითი ტურზე ელექტრონული რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 14 აპრილიდან 2025 წლის 13 მაისის ჩათვლით ბმულზე: https://forms.gle/icV9NonGhuAcKebA7 :

ა) 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში საბაკალავრო პროგრამაზე "არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)" ჩარიცხვის მსურველ აბიტურიენტთათვის;

ბ) 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ იმ პირთათვის, რომელთაც სურთ ზემოაღნიშნული პროგრამის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძონ საბაკალავრო პროგრამაზე - "არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)";

გ) 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში საბაკალავრო პროგრამაზე - "არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)" შიდა მობილობის მსურველ პირთათვის;

დ) 2024-2025 სასწავლო წლამდე ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთათვის, რომელთაც არ აქვთ გავლილი შემოქმედებითი კონკურსი იმ მიზეზით, რომ პროგრამაზე ჩაბარების დროისთვის აღნიშნული კონკურსი არ იყო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობად და 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის წარმატებით დაასრულებენ ზემოაღნიშნულ პროგრამას და სურთ სწავლა განაგრძონ საბაკალავრო პროგრამაზე - "არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)".

2. ელექტრონული რეგისტრაციისას განაცხადთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

3. იმ შემთხვევაში თუ აბიტურიენტი შშმ ან/და სსსმ პირია და საჭიროებს სპეციფიკურ საგამოცდო გარემოს, აღნიშნული უნდა მიუთითოს განცხადებაში და წარმოადგინოს შესაბამისი დამადასატურებელი დოკუმენტი (სათანადო ცნობა).

4. შემოქმედებითი ტური ჩატარდება ამ ბრძანების დანართში მოცემული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

5. დაევალოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, უზრუნველყოს შემოქმედებითი ტურის ჩატარების თარიღისა და ადგილმდებარეობის შესახებ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე ინფორმაცია განათავსოს არაუგვიანეს 2025 წლის 6 ივნისისა, მხოლოდ უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდისა და შესაბამისი ინფორმაციის მითითებით.

6. დაევალოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, შემოქმედებითი ტურის შედეგები განათავსოს უნივერსიტეტის ვებ გვერდზე ერთი თვის ვადით, არა უგვიანეს 2025 წლის 16 ივნისისა მხოლოდ უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდისა და მიღებული შედეგის მითითებით.

7. შემოქმედებითი ტურის შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების მიღება იწარმოებს 2025 წლის 17 ივნისს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: archadmissions@iliauni.edu.ge

8. სააპელაციო განაცხადების განხილვა მოხდება 2025 წლის 18 ივნისს.

9. დაევალოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, საბოლოო შედეგები უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განათავსოს ერთი თვის ვადით არაუგვიანეს 2025 წლის 19 ივნისს, მხოლოდ უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდისა და შესაბამისი შედეგის მითითებით.

10. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე "არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)" შემოქმედებითი კონკურსის ქულებს არ ენიჭება კოეფიციენტები და ისინი არ იქნება გათვალისწინებული რანჟირებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების ქულებთან ერთად.

11. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანს დაევალოს, 2025 წლის 2 მაისამდე გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის შემოქმედებითი ტურის ფარგლებში წარმოდგენილი ნამუშევრების შემფასებელი და სააპელაციო კომისიების შექმნის შესახებ.

12. დაუშვებელია სააპელაციო კომისია შედგებოდეს იმ პირებისგან, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული შემფასებელ კომისიაში.

13. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს დაევალოს, არაუგვიანეს 2024 წლის 25 ივნისისა მიღებული შედეგები გაუგზავნის რექტორს შემოქმედებითი ტურის დებულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

14. დაევალოს უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს, მოამზადოს წერილის პროექტი სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში კონკურსის შედეგების გაგზავნის მიზნით, არაუგვიანეს 2024 წლის 27 ივნისისა.

15. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის.

16.საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილეს ირინე ბაზღაძეს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა ყველა ფაკულტეტის/სკოლის სტუდნეტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა ,,არგუსის“ მეშვეობით;

17. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ყველა ფაკულტეტს/სკოლას, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ბიბლიოთეკას, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების სამსახურს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი